მოწყობილობის დანიშნულება

ტელევიზორის საკიდი (კრონშტეინი) არის ნაკეთობა, რომელიც განკუთვნილია ტელევიზორის დასამაგრებლად.

უსაფრთხოების ზომები

- მოცემული კსაკიდი განკუთვნილია მხოლოდ შენობის შიგნით ექსპლუატაციისთვის.
- საკიდის დასამონტაჟებელ კომპლექტში შედის წვრილი დეტალები, რომლებიც გადაყლაპვის შემთხვევაში ქმნის დახრჩობის საფრთხეს. მსგავსი დეტალები შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
- მონტაჟისას გამოიყენეთ კომპლექტში შემავალი ხრახნები. მოუჭირეთ მათ მყარად, თუმცა ზედმეტად ნუ გადაუჭერთ. გადამეტებულმა მოჭერამ შესაძლოა დააზიანოს ელემენტები.
- საკიდის აწყობამდე და მასზე ტელევიზორის დამონტაჟებამდე ყურადღება მიაქციეთ **VESA სტანდარტებს**, ეკრანის დიაგონალსა და ნაკეთობის მაქსიმალურ დასაშვებ დატვირთვას. საკიდის გამოყენებამ იმ ტელევიზორებთან, რომელთა წონაც აღემატება მითითებულ საანგარიშო წონას, შესაძლოა გამოიწვიოს მათი მდგრადობის დარღვევა და დავარდნა.
- ნაკეთობის აწყობა და მონტაჟი უნდა განხორციელდეს „მონტაჟის ინსტრუქციის“ შესაბამისად. არასწორმა აწყობამ შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანებები და ტრავმები.
- საკიდის დასამონტაჟებლად შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალიზებული აღჭურვილობა: ხრახნდამჭერი, ბურღი (კომპლექტში არ შედის). რეკომენდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (კომპლექტში არ შედის). მონტაჟი უნდა შესრულდეს პროფესიონალების მიერ.
- ნაკეთობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს ნაკეთობით თამაშის უფლება.
- ნაკეთობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.